ხარვეზები დასჯადობაში, რადგან გაუფრთხილებელი მცდელობა არ არსებობს.

სახელმწიფოთა კონსტიტუციებში სტრუქტურის განვითარების სამართლებრივი ასპექტები XVIII-XX საუკუნეებში

მანანა ხვედელიძე

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციური სტრუქტურა, საკანონმდებლო ნორმები.

სამეცნიერო ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა 60-მდე სახელმწიფოს მოქმედი კონსტიტუციის სტრუქტურის განვითარების სამართლებრივი ასპექტები. XVIII – XX საუკუნეებში მიღებული კონსტიტუციების სტუქტურული ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, გავაანალიზოთ როგორ ხდებოდა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებისა და ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით კონსტიტუციური ინსტიტუტების შექმნა, დამკვიდრება და განვითარება, იმ ფონზე, რომ სამართლის წყაროთა შორის უზრუნველყოფილიყო კონსტიტუციის უზენაესობა. საინტერესოა, როგორ აისახებოდა სახელმწიფოთა ძირითად კანონის სტრუქტურაში კონსტიტუციური ნორმები, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მი-

კუთვნებული ძირითადი საკითხების განმსაზღვრელი დებულებები, ასევე როგორ იხვეწებოდა და ვითარდებოდა სამართლის მეცნიერების სხვადასხვა დარგები. თითოეული სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლებრივი სისტემა თვალნათლივ ასახავს საზოგადოების პოლიტიკურ-სოციალური პირობების უზრუნველსაყოფად გასატარებელ ძირითად საკანონმდებლო ნორმებს. კონფერენციის მონაწილეები ანალიზზე დაყრდნობით იმსჯელებენ და პარალელს გაავლებენ სახელმწიფოთა წარმოდგენილი კონსტიტუციების სტრუქტურის სამართალგანვითარების დადებით და ნაკლოვან მხარეებზე. რომელი სახელმწიფოს კონსტიტუციური სტრუქტურა ასახავს სახელმწიფო მმართველობითი ფორმის მიხედვით განვითარებული ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობისა და მოქალაქეთა კეთილდღეობისათვისათვის სამართალში ასახულ მიზნებსა და შესაძლებლობებს. ნაშრომის დასკვნაში ანალიზის გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნება სათანადო წინადადებები. ქვეყნები შერჩეულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ენაზე ნათარგმნი საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციების გათვალისწინებით.